ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 68

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2018 წლის 24 მაისს ქ.თბილისში

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს # 13 ბრძანებით დამტკიცებული ,, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, საკუთარი შემოსავლებით გამარტივებული შესყიდვით. ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-2 მუხლის ,,ა'' პუნქტის საფუძველზე) (CPV – 34996300).

ერთი მხრივ, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოადგილის ვასილ კიკვიძის სახით მისამართი: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6, ს/კ 204578581. ტელ: 2753910. საბანკო რეკვიზიტები: საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022. (კოდი 311001). ხოლო **მეორე მხრივ, შპს "ნეოტექი"** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის იგორი ფარჯიანის სახით. მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. N8. ს/ნ 206201698. ტელ: (995)32-251-88-81; (995)32-251-88-85 . საბანკო რეკვიზიტები: ქ.თბილისი, ს.ს. ,,თი ბი სი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა: GE56TB1126236020100001. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ერთი ერთეული შლაგბაუმის კომპლექტი (შლაგბაუმი - KIT MOOVI 60 RMM+ACC 881174400006 (06504); უსადენო ფოტოელემენტით - P111391; უსადენო ფოტოელემენტის რეფლექტორით - P111409; მონტაჟის დროს გამოსაყენებელი თანმდევი სახარჯი მასალებით) თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. საქონლის ღირებულება

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 3,170.00 (სამიათას ასსამოცდაათი ლარი) ლარს.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების დასკვნის საფუძველზე.

3.2 საქონლის მიწოდებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველის წარმომადგენლები (კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები) განიხილავენ მიწოდებული საქონლის შესაბამისობას ხელშეკრულებით დადგენილთან.

3.3 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მიერ დადებითი დასკვნის მომზადების დღესვე ახორციელებს საქონლის მიღებას, ხოლო თუ, გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს წაკლოვანი საქონელი.

3.4 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსი ან ამავე სამსახურის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი.

3.5 შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟით) ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) უნდა განხორციელდეს სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს" ადმინისტრაციული შენობის წინ (მისამართი: ქ.თბილისი, გულუას ქ. N6).

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6.2 მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში.

6.3 გარანტიის მოქმედების პერიოდში შესყიდვის ობიექტზე დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში (გარდა მექანიკური დაზიანებისა) მისი აღდგენა ან ახლით შეცვლა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში, დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით ვადა შესაძლებელია გაიზარდოს მხარეთა შეთანხმებით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ (ხელშემშლელ გარემოებებში არ ითვლება წვიმა, ქარი, თოვლი და ა.შ.) გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით. (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც დაჭირდება 3.2 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მიერ დასკვნის მომზადებას).

10.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულებისათვის, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5 პროცენტის ოდენობით. ამ პუნქტის მოქმედების დროს გამოირიცხება 10.1 პუნქტის მოქმედება.

10.3 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

10.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანი მიადგა მესამე პირებს და ეს შედეგი არ დადგებოდა ვალდებულება ჯეროვნად, რომ შესრულებულიყო.

10.5 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

10.5.1 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით. ფორს-მაჯორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.5.2 ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.5.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს;

10.5.3 ხელშეკრულების 10.5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10.6 ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივი შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სრულად შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია განახორციელოს მთლიანი საქონლის მიწოდება ან მისი ნაწილის;

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.3 პუნქტის დადგომის შემთხვევაში;

11.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის წარმომადგენლები: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი შოთა კოკაია და ამავე განყოფილების სპეციალისტი თორნიკე ტალახაძე (შემდგომში "კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი").

12.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:

12.2.1 გაუწიოს კონტროლი საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და/ან მოთხოვნებს. (მ.შ. – ვალდებულებებს). ამ მიზნით განახორციელოს მონიტორინგი.

12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს ("ფორს-მაჟორში" არ ითვლება წვიმა, ქარი, თოვლი და ა.შ.), რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

14.3 პირობები, რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ინტერესთა კონფლიქტი

15.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესტა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16.2 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

,,შემსყიდველი" სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“	,,მიმწოდებელი" შპს "ნეოტექი"
ვასილ კიკვიძე სააგენტოს უფროსის მოადგილე	ეგორე ფარჯიანი დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არქონის თაობაზე

ქ. თბილისი ,,24'' ,,მაისი'' 2018 წელი.

კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები ვადასტურებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს # 13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-8 მუხლის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ერთი ერთეული შლაგბაუმის კომპლექტის (შლაგბაუმი - KIT MOOVI 60 RMM+ACC 881174400006 (06504); უსადენო ფოტოელემენტით - P111391; უსადენო ფოტოელემენტის რეფლექტორით - P111409; მონტაჟის დროს გამოსაყენებელი თანმდევი სახარჯი მასალებით) თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით შესყიდვის მიზნით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და **შპს "ნეოტექს"** (დირექტორი - იგორი ფარჯიანი) შორის 2018 წლის 24 მაისს გაფორმებულ #68 ხელშეკრულებაში მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები:

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი
შოთა კოკაია_____

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის განყოფილების სპეციალისტი
თორნიკე ტალახაძე _____